PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას სსიპ- კოლეჯ „იბერიას“ მიერ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ქ. ბაღდათში

ექსპერტთაჯგუფისწევრები
თავმჯდომარე:ნაზო წიბლიაშვილი
წევრი:მანანა კობალაძე

(თბილისი, 2021 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „იბერია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 აპრილის №333969 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის წევრი მანანა კობალაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი), სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ წერილის (რეგისტრაციის №290902 და №325002; განხორციელების ადგილი - ქ.ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ.№112) საფუძველზე დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დანართებით (მოდულები, სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი, განმახორციელებელი პერსონალი), პროგრამის დამტკიცების აქტი, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი და სხვ.

დამატებით იქნა გამოთხოვილი პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ბაღდათის მისამართი სსიპ- კოლეჯ „იბერიას“ განუყოფელი ნაწილია.

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია **„მეტწილი შესაბამისობით“** და 2.2.1(1) კომპონენტის გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით იდენტიფიცირებულია შეუსაბამობა, განსაზღვრულია კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სავარაუდო დაწყება-დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, შესრულების ინდიკატორი, დადასტურების წყარო.

2021 წ. 21 აპრილს განხორციელდა დისტანციური ჩართვა დაწესებულებასთან. განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება, დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან, პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან.

ჩართვის დროს განხილული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა და პრაქტიკის ბაზები.

შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა <u>მეტწილი შესაბამისობით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

<u>ინდიკატორი 2.4.1.4</u> -ის ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული მობილობის პროცედურები მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 სექტემბრის 244-ე დადგენილებასთან, შიდა მობილობის შემთხვევაში დაფინანსების საკითხი სწორად ასახონ. - **გათვალისწინებულია**

<u>ინდიკატორი 2.4.2.1</u> - ის ფარგლებში კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია რეგულაციებში ასახოს პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების პირობების წინასწარი გაცნობის მექანიზმები. ასევე, ბუნდოვანია კოლეჯის განმარტება განმეორებითი შეფასების საჭიროების არ არსებობის შესახებ, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია გადახედოს შეფასების სისტემას/ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტის პროგრამის/მოდულების მოთხოვნებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. ვინაიდან სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-13 მუხლით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგის გასაჩივრების წესი, არ მოიცავს საკითხის არა კომისიურად განხილვის შემდგომ პროცედურებს (გადაწყვეტილების მიღების სავარაუდო საფუძველი, პროფესიული სტუდენტისთვის გადაწყვეტილების გაცნობის ვადა და ფორმა) დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ნათლად გაიწეროს აღნიშნული პროცესი-**გათვალისწინებულია.**

ინდიკატორი 2.4.2.4 -ის ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა-**გათვალისწინებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განვითარების რეკომენდაცია

2.1.1(8). პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

- დაწესებულებას არა აქვს წარმოდგენილი 2021 წლის 20 თებერვალს ბრძ. №140303 დამტკიცებული ჩარჩო-დოკუმენტის დანართი 2- „სარეკომენდაციო მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“. გაიცა რეკომენდაცია დანართი 2-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დამტკიცების შესახებ.

2.2.1(1). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

- დაწესებულებას 2021 წლის 24 თებერვალს გაფორმებული ქონდა მემორანდუმები პრაქტიკული კომპონენტის და შემდგომი დასაქმების უზრუნველსაყოფად ინდივიდუალურ მეწარმეებთან:
  1. [redacted]5 პროფესიული სტუდენტისთვის;
  2. [redacted]5 პროფესიული სტუდენტისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. [redacted] პროფესიული სტუდენტისთვის;
4. [redacted] 3 პროფესიული სტუდენტისთვის;
5. [redacted] 3 პროფესიული სტუდენტისთვის;

დისტანციური ვიზიტის დროს განხორციელდა კოლეჯის პარტნიორი კომპანიების ობიექტების დათვალიერება. ექსპერტებმა მოინახულეს ი/მ ლილი ხმალაძის (სამკერვალო საყოფაცხოვრებო ობიექტის ბაზაზე) და ი/მ ქეთინო შალამბერიძის (სამკერვალო სახლის პირობებში) პრქტიკის ობიექტები. დათვალიერების შედეგად ექსპერტთა შეფასებით პრაქტიკის ობიექტების გარემო - პირობები, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს მოდულის „გაცნობითი პრაქტიკის-სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ მიზნობრივი ექსკურსია და მოდულის „საწარმოო პრაქტიკის - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ სწავლის შედეგების მიღწევა <u>არ შეესაბამება</u> პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს. ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა შეყვანა არაა რეკომენდირებული, რადგან ერთ ობიექტში (ი/მ ლილი ხმალაძე) არ იყო დაცული ჰიგიენური-სანიტარული ნორმები, კერძოდ შენობაში იყო ბეტონის იატაკი, შეიმჩნეოდა ჭერიდან ჩამონადენი წყალი და გაჩენილი იყო ობი, ერთ ნაწილში ეყარა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, არ იყო დაცული უსფრთხოების ნორმებიც, საუთოო და საგამომჭრელო მაგიდასთან იყო ღია გაყვანილობა და მოძველებული სიცოცხლისთვის სახიფთო უთო, არც ერთ შენობაში არ იყო ცეხლმაქრი, წარმოდგენილი იყო რუსული წარმოების თითო დასახელების საკერავი მანქანა "чайка 132м" და ,,подольск“, რომლებიც შეუსაბამოა თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობასთან. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დანარჩენი სამი პრაქტიკის ობიექტიც მსგავსი ტიპის იყო, აქედან გამომდინარე აღარ განხორციელდა ჩართვა დანარჩენი სამ ობიექტთან, <u>რეკომენდაცია მიეცა კოლეჯს მოდული ,,საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ განახორციელოს მათ მფლობელობაში არსებული თანამედროვე, მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით მოწყობილ C გარემოში, რაც ექსპერტთა შეფასებით სავსებით შესაძლებელია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- გამომდინარე დაწესებულების მიერ შერჩეული პრაქტიკის ობიექტებიდან, გაიცა რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისას, დაწესებულებამ გაითვალისწინოს პრაქტიკის ობიექტის გარემო პირობები და შესაძლებლობები განსახორციელებელი მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად.
- ვინაიდან ექსპერტების მიერ დაწუნებული იყო კოლეჯის პრაქტიკის ბაზები, მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა/0712001/“, სწავლის შედეგის მისაღწევად გაიცა რეკომენდაცია მოდულში გაჩნდეს დამხმარე ჩანაწერი მოდულის განხორციელების შესახებ, კერძოდ „მოდულის ფარგლებში დაგეგმილია სასწავლო ვიზიტები საწარმოში (სამკერვალო ფაბრიკა), სადაც პროფესიული სტუდენტები გაეცნობიან მომავალი პროფესიის სამუშაო გარემოს და მის სპეციფიკას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, შინაგანაწესს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას“, ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობას და ა.შ..

2.2.1(3). პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

- გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგები შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამოსამუშავებლად.

2.2.1(4). საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია მხოლოდ საგნობრივი პროგრამების განხორციელების გამოცდილება. გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უნდა უზრუნველყოფდეს პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სწავლების სპეციფიკის გაცნობას, მოდულების განმახორციელებლების კონსულტირებას კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, მონაწილეობდეს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციაში, გაიცა რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ჩაუტარდეს ინტენსიური ტრენინგების ციკლი/გადამზადება, რათა შეძლოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება.

2.2.1(7).პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

- კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში განსაზღვრულია პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსება 30 სტუდენტზე - 272 510 ლარი, ხარჯების ნაწილში - 264 636 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურებას (ვაუჩერული დაფინანსება) -156570 ლარი; მასალის ხარჯს – 108 066 ლარი. სხვა ხარჯს, რომელიც დაწესებულებას არა აქვს გაწერილი. არ ემთხვევა ერთმანეთს შემოსავლები და ხარჯები. ასევე არაა განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარი, რენტაბელობის ზღვის გრაფაში დაწესებულებას გაწერილი აქვს ხარჯის თანხა 264636 ლარი.

  რეკომენდაცია გაიცა დაწესებულებამ გადახედოს საპროგნოზო ბიუჯეტს და სწორად გაწეროს დოკუმენტი

2.4.1(1).პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- გაიცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობაში მოყვანის, კერძოდ ჩარჩენილი წინაპირობების ამოღების, შესახებ.

2.4.2(2).პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

- დაწესებულებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ გაწერილი აქვს, რომ ვერიფიკაციის ჯგუფი ვალდებულია სამ თვეში ერთხელ წარმოადგინოს დასკვნა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. ექსპერტებმა მივიჩნიეთ, რომ ყოველ სამ თვეში ერთხელ ვერიფიკაციის ჩატარება არარეალურია ვერიფიკაციის პროცესის შრომატევადობიდან გამომდინარე, რასაც დაეთანხმა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი. შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ განსაზღვროს ვერიფიკაციის რეალური პერიოდი, რათა არ მოუწიოს საკუთარი რეგულაციის დარღვევა.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში/ Basic Vocational Qualification in Sewing Industry
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორისბრძ. №41, 24.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. №112
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30პროფესიული სტუდენტი - მოდულური, ქ.ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. №112
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	■	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამისგანხორციელებისრესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	**სრული3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

კოლეჯის მისიაა „გაცნობიერებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდა, მათი უნიკალური ინდივიდუალური თავისებურებების წახალისება და განვითარების ხელშეწყობა. კოლეჯი, საქართველოს დინამიური შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ამზადებს მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტებს და ქმნის და ავრცელებს ახალ ცოდნას. სსიპ კოლეჯი ,,იბერია“ აცნობიერებს რა თავის სოციალურ პასუხიმგებლობას, საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით, ხელს უწყობს იმერეთის რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას“.

დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ მიზნად აქვს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების განხორციელება, რომლის მიზნებსაც წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება, იგულისხმება როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

დაწესებულების მიერ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა დასაბუთებულია, იმერეთის რეგიონში პროფესიისადმი მოთხოვნილებით და ეყრდნობა ეკონომიკის სამინისტროს შრომის ბაზრის კვლევის 2018-2020 წლის მონაცემებს. სამკერვალო წარმოება სერიოზულ შესაძლებლობას წარმოადგენს დასაქმებისა და თვითდასაქმების კუთხით და ბაღდათის მუნიციპალიტეტის 18 სოფელში მცხოვრებ ქალებს მისცემს დასაქმებისა და საკუთარი ბიზნეს საქმიანობის დაწყების შესაძლებლობას. ბაღდათის მუნიციპალიტეტში მდებარე კურორტი ,,საირმე“ და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობები „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის დასაქმებისა და თვითდასაქმების სერიოზულ შესაძლებლობას წარმოადგენს. კოლეჯი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პარალელურად, აქტიურად იყო ჩართული „სამუშაოს მაძიებელთა და პრობაციონერთათვის მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამის“ და „საჯარო სკოლებში პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უნარების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში“ სამკერვალო წარმოების მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამის განხორციელებაშიც.

დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

„სამკერვალო წარმოების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს „სამკერვალო წარმოება".

პროფესიულ სგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები დაწესებულებას გაწერილი აქვს: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვება (მე-3 მუხლი); პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება (მე-12 მუხლი); პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა (მე-13 მუხლი); მობილობის განხორციელება (მე-14მუხლი).

<u>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის თანახმად პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსი და საწარმოო პრაქტიკის ობიექტის რესურსი.
დაწესებულებამ, „სამკერვალო წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო (მისამართზე ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N112)არსებული ფართი: A გარემო - 33კვმ, B გარემო - 49 კვმ, და C გარემო - 65კვმ. აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 30 პროფესიული სტუდენტით, ორი სასწავლო ჯგუფის ოდენობით - თითოეულში 15-15 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტის მინიმალურ ტექნიკურ აღჭურვილობასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი იძლევა მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდული არა აქვს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლის, 3.2 პუნქტის, დ) ქვეპუნქტის შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
„სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია, უფლებამოსილი პირის, სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

„სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „სამკერვალო წარმოების“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია 2021 წლის 20 თებერვლის ბრძ.№140303 დამტკიცებული „სამკერვალო წარმოების“ ჩარჩო დოკუმენტი, სარეგისტრაციო ნომერი 07120-პ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულიც (A2 – 15 კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს, ჯამური 16 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს, ჯამური 83 კრედიტის მოცულობით. ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 99 კრედიტს და სწავლის ხანგრძლივობაა 77 კვირა -20 სასწავლო თვე;

მოდულების, ქართულიენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით და მოცულობა შეადგენს 114 კრედიტს, სწავლის ხანგრძლივობაა 88 კვირა - 23 სასწავლო თვე;

უნდა აღინიშნოს რომ <u>დაწესებულებას არა აქვს წარმოდგენილი 2021 წლის 20 თებერვალს ბრძ. №140303 დამტკიცებული ჩარჩო-დოკუმენტის დანართი 2 - „სარეკომენდაციო მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაძლებლობებთან დაკავშირებით“. გაიცა რეკომენდაცია დანართის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დამტკიცების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა რომლის მიხედვითაც ხდება სასწავლო პროცესის ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისთვის ვადები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ წესდებით;
- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ სასწავლო პროცესის მარეულირებელი წესით (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №72; 16.10.2020 წ.);
- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ მისიით;
- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯ „იბერიაში “პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“(დამტკ. ბრძ.№19; 28.01.2020წ);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ინტერვიუს შედეგები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს / პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

დაწესებულებას ქ. ბაღდათის მისამართზე პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული A, B და C გარემო. A და B გარემო უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საჭირო აღჭურვილობით:

<u>აუდიტორია №204 –A გარემო:</u> განთავსებულია 15 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა.

<u>აუდიტორია №303 –B გარემო:</u> განთავსებულია 15 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა.

<u>აუდიტორია №201-C გარემო:</u> განთავსებულია მასწავლებლის მაგიდა და სკამი, ლეპტოპი, პროექტორი, დაფა, ლაბორატორიული მაგიდა (საგამომჭრელო), სამძაფიანი ჯაჭვური გვირისტის მანქანა, ხუთძაფიანი, ორნემსიანი მანქანა (სამრეწველო), მცირე გაბარიტიანი ელექტრონული საგამომჭრელო მანქანა დისკური დანით, საუთოო წნეხი ვაკუუმის გამწოვით (IRON PRESS), მეტრიანი სახაზავი, საუთაო მაგიდა და პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი.

C გარემოს დანარჩენი აღჭურვილობა მოითხოვს შესყიდვას, რის გამოც დაწესებულების მიერ კომპონენტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და კომპონენტის გაუმჯობესებისთვის წარმოდგენილი აქვს <u>შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,</u> რომლის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 28 აგვისტოსთვის მატერიალური რესურსით სრულად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

დაწესებულებამ სხვადასხვა სახის საკერავი მანქანების შესყიდვის მიზნით წარმოადგინა ელექტრონული ტენდერის (SPA210000579) შედეგად გამოვლენილ კომპანიასთან შპს „სევტექსი“ გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესყიდვების შესახებ, ხელშეკრულების თანახმად სამკერვალო სახელოსნოსათვის საჭირო დანადგარები CPV კოდი: CPV-42710000 - საფეიქრო მრეწველობის მანქანა-დანადგარების ნაწილების მოწოდების ბოლო ვადაა 2021 წლის 15 მაისი, დისტანციური ვიზიტისას შესყიდვების სპეციალისტთან გასაუბრებისას დაზუსტდა ინფორმაცია მოწოდებასთან დაკავშირებით და გაირკვა, რომ 15 მაისის ნაცვლად მოწოდების ბოლო ვადად სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე განისაზღვრა მიმდინარე თვის ბოლო. შესყიდვების მიწოდების შემდეგ მოხდება მათი დამონტაჟება უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

<u>დისტანციური ვიზიტის დროს განხორციელდა კოლეჯის პარტნიორი კომპანიების ობიექტების დათვალიერება. ექსპერტებმა მოინახულეს ი/მ ლილი ხმალაძის (საყოფაცხოვრებო ობიექტის ბაზაზე) და ი/მ ქეთინო შალამბერიძის (სახლის პირობებში) პრქტიკის ობიექტები. დათვალიერების შედეგად ექსპერტთა შეფასებით პრაქტიკის ობიექტების გარემო - პირობები, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ მიზნობრივი ექსკურსია და მოდულის „საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ სწავლის შედეგების მიღწევა არ შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს. ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა შეყვანა არაა რეკომენდირებული, რადგან ობიექტებზე არ იყო დაცული ჰიგიენური-სანიტარული და უსაფრთხოების ნორმები, კერძოდ შენობაში იყო ბეტონის იატაკი, შეიმჩნეოდა ჭერიდან ჩამონადენი წყალი და გაჩენილი იყო ობი, ერთ ნაწილში ეყარა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, არ იყო დაცული უსფრთხოების ნორმებიც, საუთოო და გამოსაჭრელ მაგიდასთან იყო ღია გაყვანილობა და მოძველებული სიცოცხლისთვის სახიფთო უთო, არც ერთ შენობაში არ იყო ცეხლმაქრი, წარმოდგენილი იყო რუსული წარმოების თითო დასახელების საკერავი მანქანა "чайка 132м" და ,,подольск‘‘, რომლებიც შეუსაბამოა თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობასთან. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დანარჩენი სამი პრაქტიკის ობიექტიც მსგავსი ტიპის იყო, აქედან გამომდინარე აღარ განხორციელდა ჩართვა დანარჩენი სამ ობიექტთან, რეკომენდაცია მიეცა კოლეჯს მოდული ,,საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა‘‘ განახორციელონ მათ</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მფლობელობაში არსებული თანამედროვე, მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით მოწყობილ C გარემოში, რაც ექსპერტთა შეფასებით სავსებით შესაძლებელია.

გამომდინარე დაწესებულების მიერ შერჩეული პრაქტიკის ობიექტებიდან, გაიცა რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისას, დაწესებულებამ გაითვალისწინოს პრაქტიკის ობიექტის გარემო პირობები და შესაძლებლობები განსახორციელებელი მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად.

ვინაიდან ექსპერტების მიერ დაწუნებული იყო კოლეჯის პრაქტიკის ბაზები, მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა/0712001/“, სწავლის შედეგის მისაღწევად ექსპერტებმა ჩათვალეს საჭიროდ აღნიშნულ მოდულში გაჩნდეს დამხმარე ჩანაწერი მოდულის განხორციელების შესახებ, კერძოდ „მოდულის ფარგლებში დაგეგმილია სასწავლო ვიზიტები საწარმოში (სამკერვალო ფაბრიკა), სადაც პროფესიული სტუდენტები გაეცნობიან მომავალი პროფესიის სამუშაო გარემოს და მის სპეციფიკას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, შინაგანაწესს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას, ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობას და ა.შ“.

აღსანიშნავია, რომ მოდულში ,,საწარმოო პრაქტიკა“ მითითებულია, რომ მოდულის სწავლება ხორციელდება სსიპ-კოლეჯის ,,იბერია“ ფილიალში. მის: ქ. ბაღდათი, შოთარუსთაველისქ. N112, (სასწავლო სახელოსნო)

აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე ექსპერტები მხარს ვუჭერთ აღნიშნულ ჩანაწერს და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაცია.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მაგრამ შეუძლებელია /სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 16 მასწავლებელი, აქედან 12 ზოგადი და 4 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. სსიპ - კოლეჯ „იბერიაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (მე-3 მუხლის, 3.3 პუნქტის, 3.4.2(ბ) ქვეპუნქტი) პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას დაწესებულების მიერ მხედველობაში მიიღება, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მომზადება მეცადინეობისათვის, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში მუშაობა) პროფესიული მასწავლებლის საკონტაქტო საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 30 საათს.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (მე-3 მუხლის, 3.4 პუნქტის, 3.4.2.2 ქვეპუნქტი) განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლებისა და შეფასების გამომუშავების კომპეტენციის დამადასტურებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კერძოდ კვალიფიკაციის დამადასტურებელი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები: დიპლომი, სერთიფიკატი, ცნობა, სამუშაო გამოცდილება. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა ,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლებლის მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც უდასტურდებათ კვალიფიკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ პროფესიული მოდულების 4 განმახორციელებლიდან 3-ს მხოლოდ საგნობრივი პროგრამების განხორციელების გამოცდილება აქვთ. გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგები შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამოსამუშავებლად.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (მე-3 მუხლის, 3.4 პუნქტის, 3.4.2.3 ქვეპუნქტი) პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი. განსაზღვრულია მისი ფუნქცია-მოვალეობები რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას, პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სწავლების სპეციფიკის გაცნობას, მოდულების განმახორციელებლების კონსულტირებას კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, ლექციებზე დასწრებას, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციაში მონაწილეობას, მართვის კოლეგიალურ ორგანოებში მუშაობას და სხვა. „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით და გაფორმებულია ხელშეკრულება. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, <u>გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია მხოლოდ საგნობრივი პროგრამების განხორციელების გამოცდილება. მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ჩაუტარდეს ინტენსიური ტრენინგების ციკლი/გადამზადება, რათა შეძლოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

დათვალიერდა ბიბლიოთეკა და განხორციელდა გასაუბრება ბიბლიოთეკართან, ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომბაინი (ქსეროქსი, პრინტერი, სკანერი) და სამი კომპიუტერი, აქედან ორი პროფესიული სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. შერჩევითად გადამოწმდა სასწავლო ლიტერატურის არსებობა, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთკო წესთ და გატარებულია საინვენტარო წიგნში. „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით CD დისკზე, ელექტრონული სახელმძღვანელოები ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში და განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებაში აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია“, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ბრაილის შრიფტის, ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობს ტრენერის, სპეციალური მომვლელის და გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება საჭიროების შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად, დაწესებულება ადაპტირებული სსსმ პირებისთვის უსინათლოთა ბილიკებით, ლიფთით, პანდუსით.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში განსაზღვრულია პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსება 30 სტუდენტზე - 272 510 ლარი, ხარჯების ნაწილში - 264 636 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურებას (ვაუჩერული დაფინანსება) -156570 ლარი; მასალის ხარჯს – 108 066 ლარი. სხვა ხარჯს, რომელიც დაწესებულებას არა აქვს გაწერილი. არ ემთხვევა ერთმანეთს შემოსავლები და ხარჯები. ასევე არაა განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარი, რენტაბელობის ზღვის გრაფაში დაწესებულებას გაწერილი აქვს ხარჯის თანხა 264636.

რეკომენდაცია გაიცა დაწესებულებამ გადახედოს საპროგნოზო ბიუჯეტს და სწორად გაწეროს დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „იბერიაში “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (დამტკ. ბრძ. №126; 7.07.2020წ)
- „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიით“ (დამტკ. ბრძ. №47; 26.03.2021წ.)
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით(დამტკ. ბრძ.№44; 24.03.2021 წ.)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის დოკუმენტი, „პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს“, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე“. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმები და ინსტრუმენტები, კერძოდ:კოლეჯში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურას და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, აცნობს პერსონალს განათლების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებებს, ატარებს სემინარებს და კონსულტაციებს სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის, აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პერსონალის, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს ესწრება ლექცია/პრაქტიკულებს, აწარმოებს შეფასების პროცესზე დაკვირვებას, ზრუნავს პროფესიულ მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, მე-5 მუხლით შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, რომელიც დაფუძნებულია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვევის შედეგებზე, რომლის ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და გაუმჯობესების გეგმას და წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების ანალიზმა თუ დააყენა საჭიროება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ ცვლილება ხორციელდება დადგენილი წესის და პროცედურების შესაბამისად რომელიც გაწერილია ამავე დოკუმენტის მე-6 მუხლით. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ ჩარჩო-დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის მართვის სპეციალისტს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი არგუმენტირებული დასაფუთების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება ცვლილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯი „იბერიას “ „პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით“ (დამტკ. ბრძ. №290; 25.12.2020წ.)
- სსიპ - კოლეჯ „იბერიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (დამტკ. ბრძ. №126; 7.07.2020წ)
- გამოკითხვის კითხვარებით;
- გასაუბრებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. გათვალისწინებულია შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის.

სასწავლო გეგმაში მოდულის „ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულება-0712013“ წინაპირობად ჩარჩენილია ძველი ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრული წინაპირობის ორი მოდული „ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება“ და „მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება“. <u>გაიცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმიდან ჩარჩენილი წინაპირობების ამოღების შესახებ.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. ამჟამად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას დისტანციურად, გამომდინარე სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობების მიხედვით. ასევე, პროფესიული სტუდენტებისთვის ტარდება კონსულტაციები.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

კოლეჯის მიერ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმნანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნვეყოფილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. პროფესიული საგანმნანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში კოლეჯი გეგმავს პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება/სტაჟირება/ტრენინგებს სწავლებაში დარგის უახლესი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე მიგომების დანარგვის მიზნით.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (31-ე მუხლი) კოლეჯი ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში; 25-ე და 26-ე მუხლები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის განმეორებითი შეფასების და აპელაციის წესს.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

<u>შენიშვნა: 2.2.1(1)-ში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან პრაქტიკის ობიექტები არ აკმაყოფილებენ სასწავლო გარემო პირობებს, ექსპერტებმა ჩავთვალეთ რომ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები არ განხილულიყო.</u>

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

კოლეჯს სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში განხორციელების მიზნით შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, „საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი“ და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“. კოლეჯში სტუდენტთა და თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე, სახანძრო უსაფრთხოებაზე, კოლეჯის ქონების და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია უსაფრთხოების სამსახური. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან მუდმივად აკონტროლონ სამეთვალყურეო კამერები და დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრან იგი. კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ხარძარსაწინააღმდეგო სისტემით, ვიდეო სათვალთვლო კამერებით და გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, კოლეჯში დასაქმებულის სამედიცინო განათლების მედდა და ფუნქციონირებს მედდის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების მედიკამენტებით. საგანგებო სიტუაციის დროს მედდა და უსაფრთხოების სამსახური ვალდებულნი არიან დაუკავშირდნენ 112-ს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„სამკერვალო წარმოების“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში განსახორციელებლად საკერავი მანქანების დამონტაჟების შემდეგ სასურველია C გარემოში გამოიკრას საკერავ მანქანასთან და ტენთბურ დანადგარებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით;
- სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ სასწავლო პროცესის მარეულირებელი წესით (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №72; 16.10.2020 წ.);
- „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით“(დამტკ.დირექტორის ბრძ. №137; 17.07.2020წ.);
- „საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმით“ (დამტკ.დირექტორის ბრძ. №137; 17.07.2020წ.);
- „უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესით“ (დამტკ.დირექტორის ბრძ. №137; 17.07.2020წ.);
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით დაწესებულების წარმომადგენლებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (მე-20 და 21-ე მუხლი) თანახმად პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს დაეფუძნება პრინციპებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. მოდულზე სწავლის დაწყებამდე 10 სამუშაო დღის ვადაში მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიმუშავებს სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტს და შესათანხმებლად წარუდგენს ინსტრუმენტის შემთანხმებელი ჯგუფის წევრებს: სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და დარგის სპეციალისტს, რომლებიც ადასტურებენ „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალების, შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან. მოდულზე სწავლის დაწყებისთანავე მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებს აცნობს მოდულის სწავლის შედეგების შეფასების პირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (21-ემუხლი) განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. შემუშავებული რის-ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა, იდენტიფიცირება ვერიფიკაციას დაქვემდებარებული შეფასების ინსტრუმენტი, სადაც შესაძლოა იყოს შეუსაბამობების მაღალი ალბათობა.

ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი. <u>ვერიფიკაციის ჯგუფი ვალდებულია სამ თვეში ერთხელ წარმოადგინოს დასკვნა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ყოველ სამ თვეში ერთხელ ვერიფიკაციის ჩატარება არარეალურია ვერიფიკაციის პროცესის შრომატევადობიდან გამომდინარე, რაც გასაუბრებისას ასევე დაადასტურა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა და აღნიშნა, რომ თვითონაც ხვდებოდა, რომ ყოველ სამ თვეში ვერ განახორციელებდა ვერიფიკაციის პროცესს. შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ განსაზღვროს ვერიფიკაციის რეალური პერიოდი, რათა არ მოუწიოს საკუთარი რეგულაციის დარღვევა.</u>

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (22-ე მუხლი) თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია / შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა/ ინახება სასწავლებელში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. აღნიშნული დოკუმენტი, შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (24 -ე მუხლი) თანახმად კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლისშეფასების შედეგები გამოიყენება მათი დაპროგრამების განვითარების მიზნით. პროფესიული მასწავლებელი შედეგის დადასტურებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში შედეგებს აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარსხის სამსახურს, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური, სასწავლო პრაქტიკისა და სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასებისინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი „იბერიას“ სასწავლო პროცესის მარეულირებელი წესით (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №72; 16.10.2020 წ.);
- გასაუბრებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითიმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

23.05.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: